ბრესტის ზავი და საქართველო

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში დაიდო საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის. ამ ზავით რუსეთს ჩამოსცილდა პოლონეთი, ლიტვა, კურლანდია, ლიფლანდია, ესტლანდია, ბელორუსია და ლატვიის ნაწილი. ამავე დროს, რუსეთს უნდა გამოეყვანა ჯარები ლატვიასა და ესტონეთიდან, სადაც მათ სანაცვლოდ გერმანიის ჯარები შეეყვანნენ. გერმანიას რჩებოდა რიგის ყურე და მოონზუნდის კუნძულები. საბჭოთა რუსეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინათ უკრაინა, ფინეთი, ალანდის კუნძულები. რუსეთმა ცნო ფინეთისა და უკრაინის დამოუკიდებლობა. ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი კარგავდა (უკრაინის ჩათვლით) ტერიტორიის, რომლის ფართობი 1 მლნ. კმ.[2] შეადგენდა.[1]

ბრესტის საზავო ხელშეკრულება ეხებოდა ამერიკასთან. ამასთან დაკავშირებით, 1918 წლის 2 მარტს, სადამის 4 საათსა და 30 წუთზე ამერიკასთან მოლაპარაკების თავმჯდომარემ ვ. გეგეჭორმა ბრესტ-ლიტოვსკიდან მიიღო რუსეთის საზავო დელეგაციის მდივნის კარახანის მიერ ხელმოწერილი დეპეშა, რომელშიც წერია: „თეთგამორეკვის გზით რუსეთს უნდა ჩამოშორდეს არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები“.[2]

ამ დეპეშამ დიდი პროტესტი გამოიწვია ამერიკასთან მოლაპარაკების მხრივ. იმავე სადამის სასწრაფოდ მოიწვიეს ამერიკასთან ყველა ფრაქციის წარმომადგენელთა თათბირი, რომლებმაც ერთხმად დაგმეს საბჭოთა რუსეთის მიერ ოსმალეთისათვის ალიშვნელი ოლქების გადაცემის ფაქტი და შეიმუშავეს საპროტესტო დეპეშის ტექსტი: „თანახმად ხელის გადაწერილებისა, ნათქვამია მასში, ამერიკასთან მოლაპარაკება ეოველგვარ ხელშეკრულებას, რომელიც შეეხება ამერიკასთან, მის ხალხებს და დადებულია მასთან შეთანხმებისა და მისი მონაწილეობის გარეშე, თელის ძალადაკარგულად. ამასთან ამერიკასთან მოლაპარაკება საეოველთაოდ აცხადებს, რომ ამერიკასთან ხელმა შეეკვ აირსია ხამშვიდობო

---

[1] Чубарьян А.О., Брестский мир, М., 1963, 260 с.; Минц И. И., Брестский мир, История дипломатии, т. II, 1872-1919 гг., под редакцией В. П. Потемкина, М.- Л. 1945, с. 303-318;

[2] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, 1919 г., Д. № 47, с. 85.

დელეგაცია, რომელიც თანახმად თურქეთთან წინასწარი მოლაპარაკებისა, მზადაა, გაემგზავროს ტრაბზონში მასთან საბოლოო ზავის დასადებად.“[3]

ეს საპრეზიდენტო განცხადება, ამერიკელებისთვის მთავრობის მეთაურის ე. გეგეჭკორისა და სეიმის თავმჯდომარის ნ. ხომერკელის ხელმოწერით, გაგზავნა ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციას, ავტორიტეტულ მინისტრთა საბჭოს, წამყვანი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს ლონდონში, პარიზში, ვაშინგტონში, რომში, ტოკიოში, კონსტანტინოპოლში, ბერლინში, ვენაში და კიევში უკრაინის ცენტრალურ რადას.

რათა ნათელი გახდეს ამერიკელებისთვის მთავრობის პოზიცია ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციისადმი, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ ის მდგომარეობა, რომელიც შეექმნა ამერიკელებსაში 1917 წლის 7 ნოემბერს, რუსეთში ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში საგდების შემდეგ.

რუსეთში, როდესაც ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში აიღეს, ამერიკელებისთვის სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს, მათ გამოეხმიჯნენ და შეექმნათ დროებითი მმართველობა.

1917 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა ამერიკელებისთვის კომისარიატი, რომელიც ასრულებდა ამ მხარის მთავრობის ფუნქციებს. კომისარიატის თავმჯდომარედ, შრომისა და საგარეო საქმეების კომისრად დანიშნულ იქნა ე. გეგეჭკორი, საზღვაო და სამხედრო საქმეებისა – დ. დონსკოი, ფინანსებისა – ხ. კარსიკიანი, ვაჭრობისა და მრეწველობისა – გ. ჯაფარიძე და სხვ.

18 (1 დეკემბერს) ნოემბერს ამერიკელებისთვის კომისარიატის მიერ გამოცემულ პირველ დეკლარაციაში ნათქვამია: „კომისარიატის ხელისუფლება დროებითია, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელის მოწვევა შეუძლებელი გახდება, მაშინ იგი შეინარჩუნებს თავის რწმენებს დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ამიტომ მისი ხელისუფლება დროებითია და იგი მოსნად ისახავს გადაედებელი საქმეების მოწესრიგებას“.[4]

პირველი მსოფლიო ომი გრძელდებოდა, მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. რუსეთთან ზავის დადებით და ომის შეწყვეტით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო თურქეთი, რადგან იგი ომს აწარმოებდა ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ და დამარ-

---

[3] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, 1919 г., Д. № 48, лл. 85, 86.

[4] იქვე. Д. № 17, с. 8, 9, 10.

ცხების დამარცხებაზე განიცდიდა. ომის დროს რუსეთის არმიებმა აიღეს არზრუმი, ერზინჯანი, ტრაპიზონი და სხვ. ინგლისელებმა შეუაგდეს თურქეთის ჯარი სუეცის არხის ზონიდან, შეტევაზე გადაეიდნენ, შეიჭრნენ პალესტინაში, დაიკავეს იერუსალიმი და შეუტიეს ბაღდადს.

ასეთ ვითარებაში 1917 წლის 17 (30) ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა პრჟევალსკიმ წერილი მიიღო კავკასიის ფრონტის თურქეთის ჯარების მთავარსარდალ გენერალ ვეზიბ ფაშასაგან, რომელიც წინადადებას იძლეოდა, დაწყოთ მოლაპარაკება დროებითი ზავის დადების მიზნით.[5]

21 ნოემბერს (4 დეკემბერს) ეს წინადადება განხილულ იქნა კომისარიატის სხდომაზე და გადაწყდა დაწყებულიყო მოლაპარაკება დროებითი ზავის დადების მიზნით.

5 (18) დეკემბერს ერზინჯანში ხელმოწერილ იქნა დროებითი ზავი და შეწყდა საომარი ოპერაციები კავკასიის ფრონტზე.[6] ერზინჯანში ზავის დადებასთან ერთად მიღებულ იქნა ცნობა ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიის ბლოკის ქვეყნებსა და საბჭოთა რუსეთის შორის დროებითი ზავის ხელმოწერის შესახებ. მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობამ განაცხადა, რომ ბრესტის დროებით ზავს არ ცნობს და ძალაში რჩება ერზინჯანის დროებითი ზავი.

1918 წლის 1 (14) იანვარს კავკასიის არმიის სარდალმა გენერალმა ი. ოდიშელიძემ მიიღო თურქი გენერლის ვეზიბ ფაშას წერილი. იგი ატყობინებდა, რომ „თურქეთის ჯარების მთავარსარდალ გენერალისიმუს ენვერ ფაშას აქვს სურვილი, აღადგინოს მშვიდობიანი ურთიერთობა დამოუკიდებელი კავკასიის მთავრობასთან და მზადაა, გამოგზავნოს დელეგაცია თბილისში სამართლიანი მშვიდობის აღდგენის მიზნით."[7]

ყურადღებას იქცევს ის, რომ წერილში სამჯერაა აღნიშნული „დამოუკიდებელი კავკასიის მთავრობა", რაც მეტად თვალში საცემია. ენვერ ფაშა, თურქეთის ფაქტობრივი დიქტატორი, ამიერკავკასიის კომისარიატს მიიჩნევდა დამოუკიდებელ მთავრობად. თუ რამდენად გულწრფელი იყო ენვერ ფაშას ეს განცხადება, ამას შემდგომ დაეინახავთ.

4 (17) იანვარს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოთა ცენტრის სხდომაზე, ნიკ ჟორდანიას თაოსნობით, განიხ-

---

[5] Документы и материалы по внешней политике... Д. №10, с. 13.

[6] იქვე, ხელშეკრულების ტექსტი, დ. № 14, გვ. 18-23. Tülây Duran, Bolşeviklerin Osmanl Devleti ile Yaptiklari olk Anlaşma (Belgeler Türk Tarihi Dergisi, n 37, Ekim, 1970 s. 16-20.

[7] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Д. № 15, с. 24, 25.

ილეს ენერგიული პასუხის წინააღმდეგობა თურქეთთან საბოლოოდ საქმეზე ხელშეკრულების დადების შესახებ. მეორე დღეს იგივე საკითხი განიხილეს ამერიკელების კომისარიატის სხდომაზე და მიიღეს დადგენილება: „ამერიკელების მთავრობა დიდად დაინტერესებულია ადრე თქმის დამთავრებით და მშვიდობიანობის დამყარებით. მაგრამ ჩვენ ვართ რუსეთის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი და შეგვიძლია დავიწყოთ მოლაპარაკება ხალხის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, როცა მივიღებთ რწმენებას ახლად მოწვეული რუსეთის დამფუძნებელი კრებისაგან".[8] იმავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ დეპეშები მიეგზავნებიან დამფუძნებელი კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც მოახსენებენ ამ წინადადებას.

12 (25) იანვარს თბილისში ცნობილი გახდა, რომ პეტერბურგში დამფუძნებელი კრება გარეკილ იქნა ბოლშევიკების მიერ. ასეთ ვითარებაში ამერიკელების კომისარიატის წინაშე აღმოცენდა დადგა: ან უნდა იცნოს ბოლშევიკების მთავრობა და მასთან ერთად გამართოს მოლაპარაკება, ან დამოუკიდებლად დაიწყოს მოლაპარაკება თურქეთთან. კომისარიატში მეორე გზა აირჩია.

14,15 (27,28) იანვარს შედგა ამერიკელების კომისარიატის სხდომა, რომელზეც კვლავ იდგა თურქეთთან ზავის საკითხი. დაადგინეს: კონფერენცია მოწვეულიყო თბილისში. მოლაპარაკებაში, აგრეთვე, მონაწილეობა უნდა მიეღო რუსეთის ტერიტორიაზე შექმნილ უკრაინისა და სრდილოეთ კავკასიის მთავრობების წარმომადგენლებსაც.

10 (23) თებერვალს შედგა ამერიკელების კომისარიატის სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა დადგენილება, რომ თურქეთთან მოლაპარაკება საჭარებულიყო არა თბილისში, არამედ ქალაქ ტრაბზონში, სადაც ამერიკელების დელეგაცია გაემგზავრებოდა 2 მარტს. დელეგაციას უნდა ეხელმძღვანელა სეიმის მიერ შემუშავებული გეგმით, რომლის მიხედვით, თურქეთსა და ამერიკელების ქვეყნებს შორის უნდა დარსებულიყო 1914 წლამდე არსებული სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხების მიელით აგტონომია.

ამერიკელების დელეგაცია მზად იყო გასაგზავრებლად ტრაბზონში, რიდესაც ბრესტ-ლიტოვსკიდან მიღებულ იქნა კარახანის დეპეშა, რომელზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

საჭირო შენიშვნით, რომ თუ ამერიკელების მთავრობა არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას და მის მიერ ბრესტ-ლიტოვსკში დადებულ ხელშეკრულებას, მაშინ იგი საბოლოოდ

---

[8] Документы и материалы по внешней политике..., Д. № 16, 18, с. 25-27.

უნდა გამოეჯნოდა ბოლშევიკებს და ოფიციალურად გამოეცხადებინა ამერიკაკავკასიის დამოუკიდებლობა. მაგრამ ამერიკაკავკასიის პოლიტიკური პარტიები და მათ შორის ქართველი სოციალდემოკრატები, ნიე ეორდანიას მეთაურობით, კვლავ წინააღმდეგი იყვნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთში ბოლშევიკები დიდხანს ვერ შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას. ისინი ამბობდნენ, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა სათანადო პირობები. მაგრამ ყველა რიდი ი'ნიარებდა ამ თვალსაზრისს და მოითხოვდა ამერიკაკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

რაც შეეხება ამერიკაკავკასიის მთავრობის დამოკიდებულებას ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციისადმი, მან არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა. მართალია, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ არ მიიწვია ამერიკაკავკასიის დელეგაცია კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მას შეეძლო, პროტესტი გამოეცხადებინა, ანდა კონფერენციაზე მეთვალყურეები გაეგზავნა. მით უფრო, რომ კონფერენციაზე ·აუცილებლად დაისმებოდა კავკასიაში რუსეთ-თურქეთის საზღვრის საკითხი. თავის მხრივ, არც საბჭოთა რუსეთი ცნობდა ამერიკაკავკასიის მთავრობას და ამერიკაკავკასიას განიხილავდა როგორც რუსეთის განუყოფელ ნაწილს. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ კულმანმა ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელს ლ. ტროცკის დაუსვა შეკითხვა — არის თუ არა ამერიკაკავკასია საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში? ლ. ტროცკიმ დადებითი პასუხი გასცა.[9] ამიტომ იყო, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ არ მიიწვია ამერიკაკავკასიის მთავრობა ბრესტ-ლიტოვსკში კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ 1918 წლის 3 (16) იანვარს ეჯიბ ფაშამ ამერიკაკავკასიის მთავრობას გამოუგზავნა მიწვევა ბრესტ-ლიტოვსკში მონაწილეობის მისაღებად (იგი თბილისში მიღებულ იქნა ერთი თვის დაგვიანებით 1 (14) თებერვალს. მასში ნათქვამია: „ცენტრალური სახელმწიფოების დელეგატები, რომლებიც შეიკრიბნენ ბრესტ-ლიტოვსკში, მზად არიან ყველაფერი გააკეთონ, რათა იცნონ ამერიკაკავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობა და შეუძლიათ გამოგზავნონ თავიანთი დელეგაციები."[10] ამერიკაკავკასიის მთავრობამ ეს მიწვევა უპასუხოდ დატოვა.

---

[9] Ключников, Ю.В. и Сабанин, А. В., Международная политика новейшего времени в договорах, нотах и документах, ч. III, вып. II, М., 1925, с. 125.

[10] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Д. 34, с. 52.

ჩვენი აზრით, ამერიკელების მთავრობის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის სრული იგნორირება აშკარა შეცდომა იყო. არც უკრაინის ცენტრალური რადას მთავრობას მიუღია მონაწილეობა ბრესტ-ლიტოვსკში კონფერენციაზე, მაგრამ მან იქ გაგზავნა თავისი დელეგაცია და ხელშეკრულებაც კი დადო გერმანიასა და მის მოკავშირეებთან. რუსეთი იძულებული შეიქნა ეცნო უკრაინის რადას დელეგაცია და მისი მთავრობის დამოუკიდებლობა.

მოკლედ განვიხილოთ ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის მსვლელობა.

1917 წლის 8 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ. დეკრეტი წინადადებას აძლევდა მეომარ სახელმწიფოებს, დაუყოვნებლივ დაწყოთ მოლაპარაკება სამართლიანი და დემოკრატიული ზავის დადების მიზნით. „ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ" – ნათქვამია ამ დოკუმენტში.

ანტანტის სახელმწიფოებმა უარყვეს ეს წინადადება, გერმანია და მისი მოკავშირეები კი დათანხმდნენ ზავის დადებაზე. გერმანია ფიქრობდა, რომ რუსეთთან ზავის დადების შემთხვევაში მას საშუალება მიეცემოდა დამატებითი დივიზიების გადაყვანისა დასავლეთის ფრონტზე და საბოლოოდ შეძლებდა საფრანგეთ-ინგლისის დამარცხებას.

15 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში დაიდო დროებითი ზავი რუსეთსა და გერმანიას შორის და შეწყდა სამხედრო ოპერაციები. რუსეთის დელეგაციამ პირველ სხდომაზე წამოაყენა წინადადებები, რომელნიც საფუძვლად უნდა დადებოდა კონფერენციის მსვლელობას: 1. დაუშვებელია ომის შედეგად დაპყრობილი ტერიტორიების ძალით შეერთება, ჯარები დაპყრობილი ტერიტორიებიდან დაუყოვნებლივ უნდა გამოყვანილ იქნეს. 2. აღდგება იმ სახელმწიფოების პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რომლებმაც ეს ომის დროს დაკარგეს. 3. ეროვნულ ჯგუფებს, რომელთაც ომამდე არ გააჩნდათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ეძლევათ შესაძლებლობა, რეფერენდუმის გზით გადაწყვიტონ ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი თავიანთი კუთვნილება ან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 4. ეროვნულ უმცირესობათა უფლებები დაცული იქნება სპეციალური კანონით. 5. დაუშვებელია ეკონომიკური კონტრიბუცია. 6. კოლონიების საკითხი უნდა მოგვარდეს ზემოთ მითითებული ოთხი პუნქტის საფუძველზე.[11]

გერმანიის დელეგაციამ განაცხადა, რომ რუსეთის ეს წინადადებანი კონფერენციის საფუძვლად დაედება იმ შემთხვევაში, თუ ომში ჩაბმული ყველა სახელმწიფო მას აღიარებს ეკონომიკური პი-

[11] Чубарьян, А.О., Брестский мир, с. 23; История дипломатии, т. II, с. 32.

რიბების გარეშე. გერმანია დარწმუნებული იყო, ანტანტის სახელმწიფოები ამას არ დათანხმდებოდნენ და საბჭოთა რუსეთის ეს წინადადება თავისთავად მოიხსნებოდა და მართლაც ასე მოხდა.

28 დეკემბერს კონფერენციამ ათი დღით შეწყვიტა მუშაობა. ამასობაში გასეთებში „პრავდასა" და „იზვესტიაში" დაიბეჭდა წერილები „თურქეთის ხიმხეთზე", ხოლო 1917 წლის 29 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი „თურქეთის ხიმხეთის შესახებ". დეკრეტი მხარს უჭერდა „თურქეთის ხიმხეთის" თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას სრულ დამოუკიდებლობამდე. ამასთან, რუსეთის მთავრობა მოითხოვდა ჯარების გაყვანას „თურქეთის ხიმხეთიდან" და იქ ხიმხერი მილიციის შექმნას, სხვადასხვა ქვეყნებში გადასახლებული ხიმხების „თურქეთის ხიმხეთში" რეპატრიაციას, იმის დროის იქიდან გადასახლებული ხიმხების დაბრუნებას, — თურქეთის ხიმხეთისათვის დრეებითი სახალხო მმართველობის შემოღებას, ხიმეხი ხალხის დეპუტატების საბჭოს სახით, რომელიც არსებული იქნებოდა დემოკრატიულ საწყისებზე.[12]

· ოსმალეთის ხელთნის მთავრობა ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ იყო, რომ დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნა ტრიუმვირატის ერთ-ერთი წევრი თალაათ ფაშა, ერთიანობისა და პროგრესის პარტიის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო 1917 წლის 5 ოქტომბრიდან 1918 წლის 14 ნოემბრამდე პრემიერ-მინისტრი (დიდი ვეზირი) იყო.

ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაციის პოზიციის შესასწავლად მეტად საყურადღებო თურქული დოკუმენტები გამოაქვეყნა თ. დურანმა.[13] ესაა თურქეთის დელეგაციის წევრების მიმოწერა ენვერ ფაშასთან და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ალმედ ნესიმ ბეისთან. მიუხედავად ამ დოკუმენტების ცალმხრივად, ტენდენციურად შერჩეისა, მაინ ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს თურქი დიპლომატების აგრესიული ზრახვები კავკასიის მიმართ. მ. დურანი თვლის, რომ ბრესტ-ლიტოვსკში თურქეთის დელეგაციამ დიდ გამარჯვებას მიაღწია. „ოსმალეთის იმპერიამ, წერს იგი, შეანასკნელი ასი წლის მანძილზე რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში პირველად შეძლო წარმატების

---

[12] Документы внешней политики СССР, т. I, М., 1957, Д. №13.

[13] Tülây Duran, Bolşeviklerin Batililarla ilk Diplomatik ilişkileri. Brest-Litovsk Andlaşmasi ve Türkiye, (Belgelerle) Türk Tarihi Dergisi N 38, Kasim, 1970, s. 13-20; T. Duran, I. Dünya Savaşi Sonunda, Türk Diplomasisinin ilk Barişi, Brest-Litovsk Hazirlikleri, 1973, N 67, 68, s. 43-49; N 69, s. 22-26; 70, s. 31-34. ამ დოკუმენტების შესახებ ცნობა მოგვაწოდა გ. აფხაზავამ. მანვე გაგვაცნო თავისი რეფერატი (ხელნაწერი) ამ პუბლიკაციაზე, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებთ.

მოპოვება და დაიბრუნა ყარსი, არტაანისა და ბათუმის ოლქები. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი დამარხცდა რუსეთთან ომში, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ის გამარჯებული სახელმწიფოების მდგომარეობაში აღმოჩნდა. თურქეთისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონი – ყარსი, არტაანი და ბათუმი ხელახლა მოექცა თურქეთის საზღვრებში."[14]

კონფერენციის გახსნის მეორე დღეს, 23 დეკემბერს თურქეთის დელეგაციის მეთაურმა თალაათ ფაშამ მოითხოვა, რომ რუსეთის ჯარებს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ კავკასია. ასეთი მოთხოვნა მიულებელი იყო გერმანიისათვის, რადგან, აქედან გამომდინარე, გერმანელებსაც უნდა გაეთავისუფლებინათ პოლონეთი, ლიტვა, კურლანდია (ფინეთი). დიდი ძალისხმევის შედეგად გერმანელებმა დაარწმუნეს თურქები, უარი ეთქვათ თავიანთ მოთხოვნაზე. თურქები აგრეთვე მოითხოვდნენ, სამშვიდობო ხელშეკრულებაში ხაზგასმული ყოფილიყო, რომ რუსეთს აეღო ვალდებულება, არ ჩარეულიყო სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. ამ საკითხშიც თურქეთის დელეგაციას მხარი არ დაუჭირეს მისმა მოკავშირეებმა და იგი იძულებული გახდა, უკან წაელო თავისი წინადადება.[15]

გერმანელები არ იყვნენ დაინტერესებულნი, თურქებს ხელთ ეგდოთ კავკასია, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რეგიონი. მას სე თვითონაც არ ამბობდნენ უარს. თურქეთის დელეგაციისათვის კავკასიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა უფრო ოცნება იყო, ვიდრე რეალობა. თურქეთი, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული იყო რუსეთის ჯარების გაყვანით პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთის დაპყრობილი ტერიტორიებიდან. მაგრამ ამ საკითხის მოგვარება დროებით ყოვნდებოდა გერმანიის პოზიციის გამო. მაშინ გერმანიასაც უნდა გამოეყვანა ჯარები რუსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რაც, ბუნებრივია, გერმანიის გეგმებში არ შედიოდა.

თურქეთი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო, მას დაბრუნებოდა 1877-1878 წწ. რუსეთთან ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები. კერძოდ კი, ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები.

1917 წლის 26 დეკემბერს ნესიმი ბეი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალილ ბეის წერდა: „ჩვენს მოკავშირეებთან დიდხანს ვიხილავდით ბერლინის ტრაქტატით რუსეთისათვის გადაცემული სამი ვილაიეთის დაბრუნების საკითხს. კონფერენციაზე რუსებმა წამოაყენეს წინადადება ჩვენს აღმოსავლეთ ვილაიეთებში რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. რაც შეეხება „თურქეთის ხიმხეთის"

---

[14] T. Duran, Türk Diplomasisinin ilk Barişi, Brest-Litovsk Hazirliklari, 1973, N 68 s. 13-20.

[15] История дипломатии, т. II, с. 322; О. Черник, В дни мировой войны (мемуары), М-П, 1923, с. 24, 25.

საკითხს, ოსმალეთის დელეგაცია თვლის, რომ რუსეთი ერეოდა მის საშინაო საქმეებში, რაც დაუშვებელია, და იგი უნდა მოწესრიგდეს ქვეყნის კონსტიტუციის საფუძველზე."[16]

ცხადია, რუსეთი არ აპირებდა თურქეთთან წინა ომში დაკავებული ტერიტორიების დათმობას.

. 1917 წლის ნოემბერში, როგორც ზემოთ ითქვა, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც იგი აღიარებდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა, ეს პრინციპი გამოეყენებინა თავისი მიზნების განსახორციელებლად: 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაკავებული ტერიტორიებიდან უნდა გამოეყანილიყო რუსეთის ჯარები და ამ რეგიონში, რეფერენდუმის ჩატარების გზით, გარკვეულიყო მისი სტატუსი. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის მთავრობა, რომელიც თვითონ ატარებდა ეროვნული ნაგვრის პოლიტიკას, არ ცნობდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას მის მიერ დაპყრობილი ერების მიმართ, საბჭოთა რუსეთის დელეგაციისაგან მოითხოვდა ამ პრინციპის აღიარებას მითითებული ოლქების მიმართ.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებით, ოსმალეთს მისცა იარაღი მისივე წინააღმდეგ საომქმედოდ.

1918 წლის 17 იანვარს ენვერ ფაშასადმი გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ: „თქვენი გუშინდელი დეპეშიდან, აგრეთვე „პრავდას" პუბლიკაციებიდან ნათელი გახდა, რომ (რუსებს) სურთ: ხომხებს მისცენ დამოუკიდებლობა. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ რუსეთმა პირველი მოლაპარაკების დროს არ მოითხოვა დაეთინებით ჩვენი ტერიტორიები." შემდეგ თალაათ ფაშა ენვერ ფაშას აცნობებს კავკასიის მიმართ თავის გეგმებს: სადამის ჩავატარეთ თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოსეთ ფაშამ (სამხედრო მრჩეველი). საკითხი ორ ნაწილად დავყოთ. პირველი – რადგან ბოლშევიკებთან ომს ხელი მოვაწერეთ, რუსებისაგან და გერმანელებისაგან უნდა მოვითხოვოთ ტერიტორიებიდან ჯარის გაყვანის გარანტია, რომელსაც გერმანელები მოგვცემენ იქნებ იმისათვის, რომ არ მოხდეს ევაკუაცია რუსეთის ტერიტორიიდან, რუსები კი შემოგვთავაზებენ დაცლას. ჩვენ ეყოფრობთ, არ დავკმაყოფილდეთ ამით. სხვა გზა არაა, გარდა იმისა, რომ გერმანელებს საჭირო ძალები ვთხოვოთ, შავი ზღვიდან ბათუმში ჯარი გადავსხათ და თუ შესაძლებელი იქნება, მუსლიმებთან გაერთიანებით განვახორციელოთ ის იდეა, რომელიც ომის დასაწყისში გვქონდა. რადგანაც

[16] T. Duran, Dünya Savaşi Sonunda Türk Diplomasinin ilk Barişi, Brest-Litovsk Hazirliklari, II, N 69, s. 22, 23.

რუსებმა ხაეს ხელი მოაწერეს მთელი რუსეთის სახელით, მათ საწინააღმდეგო არაფერი უნდა ექთნდეთ იმ ოპერაციისა ფორმალურად კავკასიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის მიმართ მეამბოხის მდგომარეობაშია."

მოტანილი დოკუმენტიდან ნათს, რომ თურქეთის მესვეურებს სურდათ, გერმანელთა დახმარებით ხელვიდან ბათუმში ჯარები გადაესხათ, იქიდან შეჭრილიყვნენ კავკასიაში და შეექმნათ ძლიერი სახელმწიფო თავიანთი ეგოიზმის ქვეშ. ეს კი ნიშნავდა პანთურქისტული გეგმების განხორციელებას, რომელიც მათ მსოფლიო ომის დასაწყისში ექთნდათ. თურქი დიპლომატების აზრით, ეს აქცია მიმართული იქნებოდა „კავკასიის მეამბოხე რესპუბლიკის" წინააღმდეგ და რუსეთს ამის საწინააღმდეგო არაფერი უნდა ექთნოდა.

ამრიგად, ჯერ კიდევ 1918 წლის დამდეგს თურქი პოლიტიკოსები შეეცადნენ „მეამბოხე რესპუბლიკების", ე. ი. ამიერკავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ საომარი აქციის.

1918 წლის 1 თებერვალს ენვერ ფაშასადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ გერმანელებს ექთნდათ ხერეული, ხაეი დაეყოთ უკრაინასთან, ამის შემდეგ გაელაშქრათ რუსეთის წინააღმდეგ თვით პეტერბურგამდე და იძულებული გაეხადათ რუსეთი, დაეყო ხაეი. ეს ვითარება ოსმალეთის სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით თურქეთის დელეგაციისათვის ხელსაყრელი იყო. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ბოლშევიკების პროგრამაში გატარებულია აზრი (ოღონდ სხვა ფორმით) ძველი დიდი რუსეთის ხელახალი აღორძინების შესახებ. რუსეთი წინააღმდეგია ფინეთისა და უკრაინის დამოუკიდებლობისა, თუ შეიქმნება უკრაინის რესპუბლიკა, შეიქმნება ყირიმის სახელმწიფოც და შემდეგ კი კავკასიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნაც გახდება შესაძლებელი." [17]

თურქები, აგრეთვე, დიდად იყვნენ დაინტერესებული გერმანია-რუსეთის ომის განახლებით, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა უკრაინის, ყირიმისა და კავკასიის ისლამური სახელმწიფოს შექმნა, რაც თურქეთისათვის მეტად ხელსაყრელი იქნებოდა.

3 თებერვალს ნაბარდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის დელეგაციების გაერთიანებული სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა პაკი ფაშა. მან განაცხადა: „ეგრეთ წოდებული რუსეთის არმია ტოვებს სათმარი მიქმედების ასპარეზს, ტოვებს ტერიტორიას და იხევს ხერგისაკენ... რუსეთის ჯარების მიერ დატოვებულ ტერიტორიას ეკუთვნებიან სომხებისა და ქართველებისაგან

[17] T. Duran, დასახ. ნაშრომი, გვ. 31, 32.

შემდგარი შეიარაღებული ბანდები... ეს პროვინციები იმყოფებიან რუსეთის არმიის პროტექტორატისა და მფარველობის ქვეშ და მათ რუსეთი დაგვიბრუნებს ისეთსავე მდგომარეობაში, რომლებშიც ისინი იმყოფებოდნენ ოკუპაციამდე. რუსეთის მთავრობის მოვალეობაა ამ ტერიტორიების უსაფრთხოების დაცვა. არავის აქვს უფლება, დატოვოს და გადასცეს ტერიტორია სხვას, გარდა იმისა, ვისაც ის ეკუთვნის, ე. ი. არავის, გარდა თურქებისა. საქმე ისაა, რომ რუსეთის ჯარები წავიდნენ და ტერიტორიას დაუყოლნენ სხვები და მიუხედავად თურქეთის უფლებისა ამ ტერიტორიაზე, სხვები ცდილობენ მის მისაკუთრებას."[18]

ამგვარად, თურქებმა ისე წარმოგვიდგინეს საქმე, თითქოს ამერიკელების კომისარიატთან არავითარი ურთიერთობა არ ექონოდათ. „ჩემთვის არაფერია ცნობილი, – განაცხადა პაკი ფაშამ, იმის შესახებ, რომ ოსმალეთის მთავრობას სურვილი აქონდეს, რაიმე ხელშეკრულება დადოს კავკასიის ხალხებთან... აქამდე ჩვენ ვთვლიდით, რომ კავკასია რუსეთს ეკუთვნის, რომ კავკასია არასოდეს არ ცდილა, არ აპირებდა და არც ჰქონდა საშუალება, სხვანაირად მოქცეულიყო."[19]

პაკი ფაშა ასევე უარყოფდა რაიმე მოლაპარაკების ფაქტს ამერიკელების კომისარიატთან. „ჩვენ ამჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ჯარების ევაკუაციისა და ბანდებთან ბრძოლის შესახებ სახალხო კომისარია მთავრობასთან, ვინაიდან არა გვაქვს არავითარი მინაცემები, რაც უფლებას მოგვცემდა, მოლაპარაკება გვეწარმოებინა კავკასიის მთავრობასთან, მანამ მდგომარეობა არ შეიცვლება, ჩვენ მომავალშიც ასე მოვიქცევით."[20]

როგორც ეხედავთ, ამერიკელებიაში თურქები ყოველმხრივ ხელს უწყობენ ამერიკელების სეიმს, რათა მან ამერიკელია საბჭოთა რუსეთს ჩამოაცილოს, ცდილობენ რუსეთის ფრონტის დაშლას, ხოლო შემდეგ აცხადებენ, რომ საჭიროა მუსლიმური მოსახლეობის დაცვა რუსეთის ჯარის მიერ დატოვებულ ტერიტორიაზე და არლეკენ ერზინჯანის დროებით ხაზს. ბრესტ-ლიტოვსკში კი თურქეთის დელეგაცია უარყოფს ყოველგვარ კავშირს ამერიკელების კომისარიატთან, აცხადებს, რომ ისინი ცნობენ მხოლოდ რუსეთის და მის მთავრობას.[21]

•

---

[18] ო. გიგინეიშვილი, თურქეთი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963, გვ. 174; Стенограмма заседания Российской и Турецкой делегации 3 февраля, 1918 г. "Известия" 1918, 22/11.

[19] იქვე, გვ. 174, 175.

[20] იქვე, გვ. 175.

[21] იქვე.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თალაათ ფაშას წერილი, გაგზავნილი 3 თებერვალს ენვერ ფაშასა და საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი: „ამჟამად ფაშასაგან მიღებულ წერილში პრინცი წერს, რომ მასთან იყო ქართველთა დელეგაცია და მას შესთავაზეს, სადმე შეხვედროდნენ საქართველოს დელეგაციას და ხელი მოეწერათ შეთანხმებისათვის, რომლის ძალითაც (ოსმალები) უარს იტყოდნენ ბათუმზე და დაკმაყოფილდებოდნენ ყარსისა და არტაანის მიღებით, სადაც ქართულად არ ლაპარაკობენ. ამგვარი შეთანხმების საფუძველზე ისინი ერთად იმოქმედებენ ხიმხების წინააღმდეგ. მათ თქვეს, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად ბრესტ-ლიტოვსკშიც კი ჩავიდოდნენ."[22]

თალაათ ფაშას წერილიდან აგრეთვე ირკვევა, რომ ქართველების ბრესტ-ლიტოვსკში ჩასვლა არამიზანშეწონილად მიაჩნდათ და ისინი (ქართველები) ვარშავაში მიიწვია.[23]

ჩანს, თალაათ ფაშა დიდად იყო დაინტერესებული „ხიმხეთის საკითხის" მოგვარებით და ამ საქმეში ქართველების მონაწილეობით. ამიტომ მან მიიღო ქართველების მიერ შეთავაზებული წინადადება. „ჩემთან (ქართველებთან) შეხვედრის დროს შეეთანხმდით. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა ხიმხების წინააღმდეგ მოქმედება. მათთან საებრისა და საჭირო გარანტიების მიცემის შემდეგ, ქართველებს ხტამბოლში გამოვგზავნი. ქვეყნის ინტერესების თვალსაზრისით, საჭიროდ მიმაჩნია ან პილიზმ ბეისთან, ან რიბა ბეისთან, ან ორივესთან ერთად მათი საქართველოში გაგზავნა და აღნიშნული პოზიციის შესაბამისად ამ პრობლემის გადაჭრა."[24]

ჩვენი აზრით, თალაათ ფაშას წერილში მოხსენიებული პრინცი უნდა იყოს ბავარიის პრინცი, რომელიც იყო გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი. აღსანიშნავია, რომ მან გახსნა ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენცია და შემდეგ სიტყვა გადასცა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ფონ კელმანს.[25] განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ასეთი მაღალი თანამდებობისა და გავლენიანი პირი, როგორიც იყო პრინცი ლეოპოლდი, შუამავლის როლში გამოვიდა ოსმალეთსა და „საქართველოს დელეგაციას" შორის მოლაპარაკებაში.

რაც შეეხება თურქულ დოკუმენტში მოხსენიებულ „საქართველოს დელეგაციას", ჩვენი ვარაუდით, იგი უნდა შედგებოდეს „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის" წევრებისაგან, რათა

---

22 T. Duran, დასახ. ნაშრომი, 1973, № 70, გვ. 32.

23 იქვე.

24 იქვე.

25 История дипломатии, т. II, с. 319.

დამაჯერებელი გახდეს ჩვენი თვალსაზრისი, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ ამ „კომიტეტის“ საქმიანობას.

1910 წლის ივნისში პეტრე სეგელაძემ დააარსა „საქართველოს დამოუკიდებლობის“ ჯგუფი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გადაკეთდა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტად.“ მასში შედიოდნენ: ნესტორ მადალაშვილი, ლევ და გიორგი კერესელიძეები, გიორგი მანაბელი, ლევ ქიასელი, მიხაკო წერეთელი, შალიტონ ქარცივაძე და სხვები. ამ კომიტეტის წევრებმა მოლაპარაკება გაიმართეს გერმანიის მთავრობასთან, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება გერმანიასა და „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს“ შორის, რომლის თანახმადაც, გერმანია ვალდებულებას იღებდა, მსოფლიო ომში გამარჯვების შემთხვევაში ეცნო საქართველოს სუვერენიტეტი.[26]

გერმანიის რწმენით, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრებმა ანალოგიური მოლაპარაკება გაიმართეს ოსმალეთის მთავრობასთან. აღსანიშნავია, ამ მოლაპარაკებაში შეამაელის როლში გამოდიოდა გერმანიის ელჩი თურქეთში ფალგენჰაინი, თურქეთის მხრიდან მონაწილეობდნენ ენვერ ფაშა, ქართველებიდან კი — ლევ კერესელიძე. 1914 წლის სტამბოლში ოსმალეთსა და „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს“ შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ოსმალეთი ცნობდა საქართველოს თავის ისტორიულ საზღვრებში, თურქეთის ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო ქართული ლეგიონი და სხვა.[27]

„საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ წევრები თვალყურს აკვანებდნენ ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციას და როდესაც გაიგეს, რომ ამერიკა-კავკასიის კომისარიატმა არ მიაღწია თავისი დელეგაცია, გადაწყვიტეს, საქართველოს ინტერესების დასაცავად გარკვეული ნაბიჯები გადაედგათ:

1918 წლის 29 იანვარს, „კომიტეტის“ ინიციატივით, ინგლისურ გაზეთში “Morning Post” — დაიბეჭდა 1914 წლის ოსმალეთსა და „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს“ შორის დადებული

---

[26] კ. სალია, ქართველი ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (1801-1918) „ბედი ქართლისა“, პარიზი 1962, № 39, 40; კ. სალია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს (მასალები ისტორიისათვის), „ბედი ქართლისა“, 1962, № 39-40; მ. სვანიძე, ქართული ლეგიონი მსოფლიო ომის დროს, გაზ. „სამშობლო“, 1922, № 7-10. W. Bihl, Die Kaukasus-Politik der Mittelmachte, Teil I, Ihre Basis in der Orient-Politik und ihre Aktionen 1914-1917 Wien – Köln, Graz, 1975.

[27] მ. სვანიძე, 1914 წლის სტამბოლში ოსმალეთსა და „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს“ შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება, „ქართული დიპლომატია“, ტ. I, თბ., 1994, გვ. 60-76.

ხელშეკრულება.[28] ამ ხელშეკრულების გამოქვეყნებით „კომიტეტის“ წევრებს სურდათ შეექმნათ ხელსაყრელი საერთაშორისო არენა საქართველოს მიმართ და ეწვენებინათ, რომ ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულებით ბათუმის ოლქი საქართველოს ფარგლებში შედიოდა.

ამავე დროს, „კომიტეტის“ წევრები შეხვდნენ ლეონიდეს, ბაგარიის პრინცს და მას სთხოვეს დახმარება თურქეთთან მოლაპარაკებაში. კერძოდ, შეხვედრილნენ თურქეთის დელეგაციის წარმომადგენლებს და მათთან დაედოთ შეთანხმება, რომლის საფუძველზე ბათუმის ოლქი საქართველოს უნდა დარჩენოდა.

ქართველების ამ მიმართულებით მოღვაწეობასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის „კომიტეტის“ წევრი მიხაკო წერეთელი: „1918 წლის გაზაფხულზე, – წერს იგი, – როდესაც ბრესტ-ლიტოვსკში გამართულ საზავო კონფერენციაზე თავისი წარმომადგენელი არ გაგზავნეს (რუსეთის სხვა ერებისაგან განსხვავებით), გეორგი მაჩაბელი იძულებული გახდა, სარეველიეო კონფერენციის მუშაობის მსვლელობაში. ჩვენ, კომიტეტის წევრებს, წერილობითი აღთქმა გვქონდა გერმანიის მთავრობის გაელენით თურქეთის მთავრობასთან, რომ იგი არ განიცხადებდა პრეტენზიას საქართველოს სამამულოანი ნაწილებზე, თუ რუსეთი დამარცხდებოდა და ეს საკითხი დადგებოდა საზავო კონფერენციაზე, არამედ დამოუკიდებელ საქართველოს საზღვრებში შეეყოლოდა ეს ნაწილები მისი. გეორგიმ მოახერხა, რომ გერმანელებთან ერთად ბრესტ-ლიტოვსკში ყოფილიყო, როგორც უმანდატოს, მას რასაკვირველია, წარმომადგენლად არ იცნობდნენ, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ გერმანელების გაელენით, შეადგინეს პროტოკოლი, რომელზედაც ხელს აწერდა სამი წარმომადგენელი ოსმალეთისა, რომ ისინი საქართველოს შემოხსენებულ ნაწილებზე პრეტენზიას არ აცხადებდნენ, თანახმად ჩვენს კომიტეტთან წინანდელი ხელშეკრულებისა. ამ პროტოკოლზე ხელი გეორგიმაც მოაწერა. მაგრამ ჩვენი მომხრე გერმანელი დიპლომატი ბრესტ-ლიტოვსკიდან გამოიწვიეს ბერლინში, ნაცვლად მოიწვიეს სხვა, რომელმაც ჩვენ მხარი არ დაგვიჭირა, და თურქებმაც პრეტენზია გამოაცხადეს ბათუმზე, მთელს მის ოლქზე და სხვა მიწებზე საქართველოისა.“[29] მიხაკო წერეთელი განაგრძობს: „მაშინ იყო, რომ გერმანელებმა მოგვთხოვეს კატეგორიულად მანდატიანი კაცის ჩამოყვანა საქართველოთაგან. მე და განსვენებულმა მელიტონმა (ქარცივაძემ) მეორედ

[28] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარქივო დოკუმენტები (საფრანგეთიდან ჩამოტანილი), № 352;

[29] გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, გ. მაჩაბელი, ტ. 3., თბ., 1993, გვ. 125, 126.

ვეწვიეთ სტამბოლს და იქიდან საქართველოსაკენ გავემართეთ წყალქვეშა ნავით."[30]

თბილისიდან „ძანდატიანი კაცის" ჩამოყვანა კი იმას ნიშნავდა, რომ მას მთავრობისაგან სპეციალური რწმენება ენდა ქონოდა მოლაპარაკების საწარმოებლად. საბოლოოდ, დრო უკვე დაკარგული იყო. როდესაც მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე საქართველოსაკენ გამოეგზავნენ, ბრესტ-ლიტოვსკში კონფერენცია დამთავრებული იყო.[31]

ამგვარად, „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის" წევრების ცდა, დაეცვათ საქართველოს ინტერესები ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე, უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ მათი მცდელობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ქართული დიპლომატიის ისტორიისათვის.

გერმანიის მთავრობამ, როდესაც დარწმუნდა, რომ რუსეთთან მოლაპარაკების გზით, თავის მიზანს ვერ მიაღწევდა, გადაწყვიტა ულტიმატუმი წაეყენებინა მისთვის და საომარი მოქმედების განახლებით დაემუქრა.

ოსმალეთის დელეგაციამ გადაწყვიტა, ესარგებლა შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობით და რუსეთის მიმართ თავისი ზრახვები განეხორციელებინა. ოსმალეთმა სთხოვა გერმანიას, ულტიმატუმი შეეტანა მისი პრეტენზიები რუსეთის მიმართ. მაგრამ გერმანელებმა „გულმავიწყობა" გამოიჩინეს და ოსმალთა თხოვნა ულტიმატუმი არ შეეტანეს. ნახს, თურქ დიპლომატებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რათა დაერწმუნებინათ მოკავშირე თავიანთი პრეტენზიების „სამართლიანობაში".

18 თებერვალს გერმანიამ რუსეთს ახალი ულტიმატუმი გაუგზავნა, რომელიც კიდევ უფრო მძიმე იყო. იგი 10 პუნქტისაგან შედგებოდა. მე-5 პუნქტით რუსეთმა თურქეთს აღმოსავლეთი ანატოლიის პროვინციები ენდა დაებრუნებინა და იცნოს თურქეთის მიერ კაპიტულაციების გაუქმება.[32] ეს პუნქტი არ იყო წინა ულტიმატუმში. მაგრამ თურქეთი ამით არ კმაყოფილდება და მოითხოვს გერმანიისაგან, დაეხმაროს მას, დაებრუნდეს 1877-1878 წწ. რუსეთთან ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები.

---

[30] გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 125, 126.

[31] მ. წერეთელი წერს: „ამასობაში სწარმოებდა მოლაპარაკება ოსმალეთსა და ახლად გამოცხადებულ კავკასიის სახელმწიფოს შორის ოდესაში (ენდა იყოს ტრაბზონი – მ. ს.). მაშინ გავიგეთ ბათუმის (1918 წ. 1 აპრილი – მ.ს.) ძალით აღება თურქების მიერ". დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

[32] ი. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177; История дипломатии, т. II, с. 343, 344.

ამასობაში გერმანიამ ომი განაახლა და შეუდგა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიების დაპყრობას და მალე საფრთხე შეუქმნა თვით პეტერბურგსაც კი.

24 თებერვალს რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გერმანიის ულტიმატუმი და აცნობა ამის შესახებ ბერლინს, ვენას, სოფიასა და სტამბოლს. იმავე დღეს რუსეთის დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკში გაემგზავრა. გერმანელები განაგრძობდნენ შეტევას. 28 თებერვალს რუსეთის დელეგაცია ბრესტში ჩავიდა და პროტესტის ნოტა გაუგზავნა გერმანიას საომარი მოქმედების გაგრძელების გამო.

1 მარტს განახლდა სამშვიდობო კონფერენცია. ოთხთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები არ ესწრებოდნენ სხდომას იმის გამო, რომ ისინი გაემგზავრნენ ბუქარესტში, რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით. გერმანიის დელეგაციას დროებით მეთაურობდა ფონ როზენბერგი. მან განაცხადა, რომ საომარი ოპერაციები გაგრძელდება მანამდე, სანამ არ იქნება ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება. ამავე დროს, გამოირკვა, რომ გერმანელებს „გულმავიწყობით" გამორჩენიათ ბოლო ულტიმატუმის მე-5 მუხლში ცვლილებების შეტანა. „რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლებს შეუძლიათ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მეხუთე მუხლში ჩვენ ვლაპარაკობდით არა .იმ ოსმალურ ოლქებზე, რომელნიც რუსეთის ჯარებს პქონდათ დაკავებული, არამედ, სახელდობრ, აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციებზე. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ანგარიში გავუწიეთ არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქთა მცხოვრებლების სურვილს, იმ ოლქებისა, რომელნიც 1878 წელს ოსმალეთმა რუსეთს იძულებით დაუთმო. აღგილობრივმა მუსლიმურმა მოსახლეობამ ჩვენ მოგვმართა თხოვნით, მივმველებოდით მას და ვეხსნათ იგი იმ ძალადობისაგან, რომელსაც ხმარობენ მასზე რუსული ჯარები. ეს მუსლიმური მოსახლეობა დაეინებით სთხოვს ოსმალეთსა და ბერლინის მთავრობას: მიეცეს მას საშუალება, ხელახლა ოსმალეთის შეუერთდეს, მაგრამ ჩვენ ამას დაეინებით არ მოვითხოვთ, რომ არ დაგვაბრალონ ანექსიური მისწრაფებები. ამგვარად, მეოთხე მუხლის მეორე ქვემუხლი განისაზღვრება ჩვენი მოთხოვნათა მინიმუმით, ესე იგი: არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები დაუყოვნებლივ უნდა დაცლილ იქნენ რუსული ჯარებისაგან; რუსეთი არ ჩაერევა აღნიშნული ოლქების შინაურ ცხოვრებაში და საერთაშორისო მდგომარეობაში და მისცემს უფლებას, მოაწყონ მათ თავისუფალი სახელმწიფოებრივი მშენებლობა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ოსმალეთთან, შეთანხმების გზით. პირველ პირობას მიზნად აქვს, შეძლებისდაგვარად უსრულყოფილ იქნეს მოსახლეობა შემ-

ლგომი ძალადობისაგან; მეორე პირობა კი, რუსეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული პრინციპის თანახმად, ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ, მი'სნად ისახავს აღნი'შნული ოლქების მცხოვრებლებს მიეცეთ საშუალება, გამოთქვან ა'სრი თავისი მომავალი ბედის შესახებ.[33]

რუსეთის დელეგაციის წარმომადგენელმა სოკოლნიკოვმა უარეო რო'სენბერგის დასაბუთება და შემდეგი განაცხადა: გერმანიის მთავრობის მიერ 18 თებერვლის ულტიმატუმში წარმოდგენილი პირობები ახლა დარღვეულია. გერმანიის მთავრობა არაეთარ ყურადღებას არ აქცევს ყარს-არტაან-ბათუმის ოლქების მცხოვრებთა ნამდვილ ნებასურვილს და გერმანია გვართმევს ამ ოლქებს ოსმალეთის სასარგებლოდ, რომელიც ოსმალებს არც კი დაუპერიათ. ოსმალეთის ხელში ყარსის გადასვლა ნი'შნავს თბილისის დაცვის შესუსტებას, და ბათუმის დაკარგვა კი წყვეტს ნორმალურ ურთიერთობას თბილისთან და ბათუმი გახდება საომარი ოპერაციების ბა'ზად კავკასიის წინააღმდეგ, რითსა და მტკვარ'ზე თავდასასხმელად და სხვ.[34]

ოსმალეთის დელეგაციის წარმომადგენელმა ჰალილ ფა'შამ სოკოლნიკოვს შემდეგი პასუხი გასცა: „ყარს-არტაან-ბათუმის ოლქები ოსმალეთს ეკუთვნოდა ოთხი საუკუნის განმავლობა'ში; ყარსი არასოდეს არ ემუქრებოდა რუსეთს. იგი იყო თავდაცვითი სიმაგრე რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთმა მისი ანექსია მოახდინა. ოთხი საუკუნის განმავლობა'ში ოსმალეთს არ უსარგებლია ბათუმით კავკასია'ზე თავდასასხმელად, რაც შესანი'შნავია, ის, რომ ისეთი დიდი იმპერია, რომელსაც ხელთ ჰქონდა პორტი ბათუმი, არასოდეს თავს არ დასხმია პატარა სახელმწიფო საქართველოს. რუსეთს აქვს კავკასია'ში საკმაო პორტები, მაგალითად ფოთი, რომელიც მოხერხებულია თბილისთან საგაჭრო ურთიერთობისათვის. ბათუმი დაუთმეთ რუსეთს 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით, როგორც საომარი კონტრიბუციის ნაწილი, რომელსაც დღევანდელი პრინციპები, საბა'ვეო კონფერენციის მიერ აღიარებული, აღარ ცნობს. ჩვენ ამ ოლქების ანექსიას არ ვახდენთ, რაც შეეხება არტაან-ყარს-ბათუმის მოსახლეობის ინტერესებს, მე ვკითხულობ: რომელ სახელმწიფოს აქვს მეტი უფლება ამ მხარე'ზე, ვიდრე ოსმალეთს, რომელსაც ოთხი საუკუნის განმავლობა'ში ეჭირა იგი და თავის წინააღმდეგ არაეთარი რევოლუციური მოძრაობა არ გამოუწვევია? ამას გარდა, ბევრი რამ აკავშირებს ოსმალეთის ამ

---

33 ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 19, 20. История дипломатии, т. II, с. 344.

34 იქვე.

ოლქებთან. მაგალითად, საერთო ერთეულება. რუსეთმა ძალით მოუხდინა ანექსია ამ სამ ოლქს ვალ'ში, რომლის გადახდა ჩვენ არ გვსურს. ამ ოლქების მცხოვრებთათვის რუსეთის ხალხი უცხოა ყოველი მხრივ: თუ მათ უნდა მოახდინონ შეთანხმება, მგონია, მხოლოდ ოსმალეთთან".[35]

კამათ'ში კვლავ რო'სენბერგი ერევა და საკითხის არსს შემდეგნაირად განმარტავს: „მეოთხე მუხლის პირობები არ ლაპარაკობს ოსმალურ პროტექტორატ'ზე, არ ლაპარაკობს არც ამ აღნ'შნული ოლქების ოსმალეთისათვის შეერთება'ზე, – იქაა მსჯელობა მოსახლეობის უფლება'ზე, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკითხები სახელმწ'ფოებრივ-უფლებრივი და საერთა'შორისო-უფლებრივი დამოკიდებ'ულებით. რაც შეეხება იმ ზო'ს, თბილისისა და სამხრეთ კავკასიის შესახებ, რომელიც გამოთქვა რუსული დელეგაციის თავმჯდომარემ, ეს ზო'ზი უსაფუძვლო მგონია, რადგან ჩვენი წინადადების პირობები 'ხესტად მიუთითებს, რომ ახალი წესრიგი დამყარდება აღნ'შნული ოლქების მოსახლეობასთან შეთანხმებით, და მა'მასადამე, მოსახლეობას სა'შუალება ექნება თავის'უფალი ნებისყოფის გამოსენისა."[36]

ბოლოს, რო'სენბერგმა წინადადება შეიტანა, შეეწ'�ეთ კამათი, დაეხ'ურათ სხდომა და სამოუკალიბებინათ სამი კომისია: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი. საბ'ჭოთა რუსეთის დელეგაციამ ეს წინადადება არ მიიღო. მან განაცხადა, რომ ეკალება, „მიიღოს პირობები, რომელიც გერმანიამ თარადით ხელ'ში უკარნახა რუსეთის მთავრობას."[37]

ამრიგად, 1 მარტს კონფერენციის ბოლო სხდომაზე, ულტიმატ'უმის პირობებ'ში განხილვის გარე'შე, გერმანიის მიერ სა'საგო ხელ'შეკრულება'ში დამატებით შეტანილ იქნა ახალი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, რუსეთს უნდა გამოეყანა თავისი ჯარები არტაანის, ყარსისა და ბათ'უმის ოლქებიდან. ცხადია, ეს მოხდა თ'ურქეთის დელეგაციის მოთხოვნით. 3 მარტს ხელი მოაწერეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელ'შეკრულებას.

ის, რომ ამერიკაკავკასიის კომისარიატის მთავრობამ ბრესტ-ლიტოვსკ'ში დელეგაცია არ გაგ'ზავნა და მისი სრული იგნორირება მოახდინა, ა'ბკარა შეცდომა იყო. ყარსის, არტაანისა და ბათ'უმის ოლქების მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები და სომხები შეადგენდნენ და ისტორიულადაც ეს რეგიონი ოსმალეთის არ ეკ'უთვნოდა. ყოველივე ამის გამო, ოსმალეთის პრეტენ'ზიები უსა-

[35] ვ. ნო'ხაძე, დასახ. ნა'შრომი, გვ. 20, 21.

[36] იქვე, გვ. 21.

[37] იქვე.

ყურადღება იყო და ამის დასაბუთებას კონფერენციაზე ყველაზე უფრო დამაჯერებლად ამერიკელების დელეგაცია შეძლებდა. ამერიკელების მთავრობა რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ტრაბზონში ოსმალეთთან უშუალო მოლაპარაკების შედეგად დაიდებოდა სამშვიდობო სახელო ხელშეკრულება და მოგვარდებოდა ყველა სადავო საკითხი.

Mikheil Svanidze

THE PEACE TREATY OF BREST AND GEORGIA

(Summury)

From 22 December 1917 to 3 March 1918 a peace conference was held at Brest-Litovsk, with the participation of Russia, Germany, Austria-Hungary, Turkey and Bulgaria.

Representatives of the government of the Transcaucasian Commissariat were not invited to the conference, as Russia considered Transcaucasia to be her inalienable part.

The Transcaucasian government received an invitation from Turkey, made by the instruction of the governments of the Central Powers. However, the Transcaucasian Commissariat gave no reply.

In the authors's view, the ignoring of this conference by the Transcaucasian government was a mistake.

The leaders of the "Committee for the Liberation of Georgia" (G. Machabeli, M. Tsereteli, M. Kartsivadze), based in Berlin, tried to get in touch with the representatives of Germany and Turkey and, through negotiations, to safeguard the interests of Transcaucasia, in particular of Georgia. However, the attempt failed.

According to the Treaty of Brest, Russia was to withdraw her troops from the Artaan, Kars, and Batumi areas, and the population of these areas was to be granted the right to self-determination.

The government of the Transcaucasian Commissariat filed a protest in connection with this decision, stating that the treaty had been concluded without the agreement and participation of its representatives in the work of the conference, hence considering it invalid. Besides, the Transcaucasian government made it known that its delegation was leaving for the Trabzon conference in order to conclude a peace treaty with Turkey.